საქართველო

საქართველო

საქართველო

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდახუთი წლის ოცდაშვიდ თებერვალს მე, ნოტარიუს **ლანა მაჭავარიანს, ჩემს** სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, შ. რუსთაველის გამზ. N1, სადარბაზო IV, სართული 2. მომმართა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა **ნასერ ყაჰრემანი გარგარი-მ.**

ნასერ ყაჰრემანი გარგარი-მ. განაცხადა, რომ ჯეროვნად ფლობს სპარსულ ენას, რის გამოც წინამდებარე მინდობილობა შედგენილია **ქართულ და სპარსულ ენებზე,** თარჯიმნის – **მერი ფანიაშვილის** მეშვეობით. **ნასერ ყაჰრემანი გარგარი-მ.** მოიწონა და განაცხადა თანხმობა თარჯიმან – **მერი ფანიაშვილის** მეშვეობითა და მონაწილეობით წინამდებარე სანოტარო აქტის შედგენისა და დამოწმების შესახებ. მან განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა და სანოტარო წესით დადასტურება .

მე, დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მომმართა: **ნასერ ყაჰრემანი გარგარი-მ** (დაბ. 23/08/1964წ. რეგისტრირებული მისამართზე: ქალაქი თბილისი, კახეთის გზატკეცილი, N 135, პირადი ნომერი: 01097001009 , პირადობის მოწმობის სერია 20PR13327) .

მე დავადგინე თარჯიმნის - **მერი ფანიაშვილის** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მომმართა: თარჯიმანმა - **მერი ფანიაშვილმა** (დაბ . 20/05/1971 წელს, მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი ო. ჭილაძის ქ. 166/7 ბ. 33, პირადი ნომერი: 01027045598,) მან წარმოადგინა ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი N10041 გაცემული სასწავლო ცენტრ შპს „სამყაროს"–ს (ს/კ 400027724) მიერ 30.12.2011წელს, სპარსული ენის კურსი. აღნიშნული მომენტისათვის მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა.

მე ასევე სანოტარო მოქმედების ყველა მონაწილე (თარჯიმნის ჩათვლით) გავაფრთხილე თარჯიმნობის გამომრიცხავი გარემოებების შესახებ. სანოტარო მოქმედების ყველა მონაწილემ (თარჯიმნის ჩათვლით) ჩემს წინაშე განაცხადეს რომ თარჯიმნად ყოფნის დამაბრკოლებელი გარემოება არ არსებობს, თარჯიმანმა განაცხა, რომ ფლობს **ქართულ და სპარსულ ენებს** და იძლევა სწორი თარგმანის გარანტიას.

მე დავადგინე მიმნდობის ნების გამოვლენის ნამდვილობა და თარჯიმნის დახმარებით განვუმარტე მინდობილობაზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე ის გარემოება, რომ მას ნებისმიერ დროს შეუძლია გააუქმოს აღნიშნული რწმუნებულება. შემდეგ შევადგინე რწმუნებულების პროექტი, რომელიც ხმამაღლა და გარკვევით წაუკითხა თარჯიმანმა, მანაც წაიკითხა, მოიწონა და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, შპს „ნაქა"-ის ს/კ 204418745 **დირექტორი და 50 % წილის მფლობელი ნასერ ყაჰრემანი გარგარი** (დაბ. 23/08/1964წ. რეგისტრირებული მისამართზე: ქალაქი თბილისი, კახეთის გზატკეცილი, N 135, პირადი ნომერი: 01097001009 , პირადობის მოწმობის სერია 20PR13327) ვენდობი **ქეთევან კიკვაძეს** (დაბ.08/01/1976 წ. პირადი ნომერ: 60001009411) და **ადელ ყაჰრემანი გარგარი-ს** (დაბ. 24/09/1971წ. პირადი ნომერი: 01092000276) ერთად ან ცალცალკე ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ვანიჭებ უფლებამოსილებას იყვნენ საზოგადოების სრულუფლებიანი წარმომადგენლები ყველა მესამე პირთან, კერძოდ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან, ამავე სამინისტროს შემოსავლების სამსახურებთან, საგადასახადო და საბაჟო სამსახურებთან, გაფორმების ეკონომიკურ ზონასთან, თბილისის იუსტიციის სახლთან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურთან და ზედამხედველობის სამსახურთან, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან, იუსტიციის სამინისტროს საჯარო და სამეწარმეო რეესტრების ტერიტორიულ სამსახურებთან, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსთან, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, ასევე სხვა ადმინისტრაციულ ორგანიზაციებთან და საჯარო თუ კერძო სამართლის იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობაში. მიმართონ მათ საჭირო განცხადებებით, განაცხადებით თუ სხვა სახის მოთხოვნებით, მიიღონ მათგან შესაბამისი პასუხები, ნებართვები. წარადგინონ, მიიღონ და ხელი მოაწერონ კომპანიის სახელზე გაცემულ ნებისმიერ დოკუმენტს, გაასაჩივრონ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება. შეძლონ კომპანიის ამონაწერში ნებისმიერი ცვლილების შეტანა, პასპორტის ნომრის შეცვლა, იმოქმედონ "მარწმუნებლის" სახელით და განახორციელონ ქვემოთ ჩამოთვლილი საქმიანობები/ქმედებები:

მოახდინონ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ცვლილება ახალ კანონმდებლობასთან მოყვანის მიზნით, ხელი მოაწერონ **შპს „ნაქა"-ის** სადამფუძნებლო დოკუმენტაციას, კრების ოქმს, წესდებას. დაესწროს პარტნიორთა საერთო კრებას და მონაწილეობა მიიღოს კრებაში დღის წესრიგით გათვალისწინებულ ნებისმიერ საკითხზე, ხელი მოაწეროს კრების ოქმს, წარადგინოს კრების ოქმი მარეგისტრირებელ ორგანიში რეგისტრაციისათვის, განაახლოს შეჩერებული ან/და შეწყვეტილი სარეგისტრაციო განაცხადი, წარადინოს და მიიღონ საჭირო დოკუმენტები, აწარმოოს მოლაპარაკებები ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, დადოს შესაბამისი ხელშეკრულებები ნებისმიერ მესამე პირთან და/ან საკუთარ თავთან, მოაწეროს ხელი ყველა საჭირო დოკუმენტს, იყოს ჩემი სრულუფლებიანი წარმომადგენელი იუსტიციის სახლში, ასევე სანოტარო ბიუროში, სამეწარმეო რესტრში, აწარმოოს მოლაპარაკებები ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, მინდობილი პირი ასევე უფლებამოსილია შეაგროვოს ყველა საჭირო საბუთი სახელმწიფო თუ კერძო სამართლის იურდიული პირებისგან, წარადგინონ შესაბამისი განცხადებები, ხელი მოაწეროს ხელშეკრულებებს, კრების ოქმებს, რაც დაკავშირებული იქნება ამ დავალების შესასრულებლად. მინდობილი პირი უფლებამოსილია გარიგება დადოს საკუთარ თავთან.

შპს "ნაქა" -ის ს/კ 204418745) სახელით მონაწილეობა მიიღონ ნებისმიერი ადმინისტრაციული ორგანოს ან კერძო სამართლის სუბიექტის მიერ გამოცხადებულ ნებისმიერ აუქციონში და ტენდერში, წარადგინონ და ხელი მოაწერონ სააუქციონო და სატენდერო განაცხადს თუ სხვა საჭირო დოკუმენტაციას, განსაზღვრონ აუქციონზე და ტენდერზე შეძენილი

ნივთის ნასყიდობის ფასი, თუ სხვა სახელშეკრულებო პირობები, გადაიხადონ აუქციონში და ტენდერში მონაწილეობისათვის აუცილებელი ყველა სახის გადასახადი. შპს „“ნაქა“ -ის ს/კ 204418745 სახელით ხელი მოაწერონ ნებისმიერ გარიგებას, იჯარის, ქირავნობის ხელშეკრულებებს, ასევე შეთანხმებებს გარიგებებში ცვლილებების შეტანის თუ გაუქმების შესახებ. (ხელშეკრულებათა პირობების თავის შეხედულებისამებრ განსაზღვრის უფლების ჩათვლით) იყვნენ საზოგადოების სრულუფლებიანი წარმომადგენელი სანოტარო ბიუროში. მინდობილი პირი/პირები უფლებამოსილნი არიან ნებისმიერ საბაჟო ტერმინალზე მიიღონ შპს „ნაქა“-ის ს/კ 204418745 სახელზე გამოგზავნილი ნებისმიერი სახის ტვირთი, მოახდინონ ტვირთის ტრანსპორტირება, აწარმოონ საბაჟო, საბროკერო და სატერმინალო ოპერაციები, მოახდინონ ტვირთის განბაჟება, გადაიხადონ ნებისმიერი სახის გადასახადი. „ შპს.“ნაქა“ -ის ს/კ 204418745 სახელით შეიძინონ ნებისმიერი სახის უძრავი ან მოძრავი ქონება (ქონების ხარისხი, ნასყიდობის ფასი და ხელშეკრულების სხვა პირობები განსაზღვროს თავისი შეხედულებისამებრ, მოახდინონ ქონების ტრანსპორტირება), რისთვისაც ხელი მოაწერონ სათანადო ხელშეკრულებებს, ასევე შეთანხმებებს აღნიშნულ ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანის ან გაუქმების შესახებ.

იყვნენ საზოგადოების სრულუფლებიანი წარმომადგენლები ნებისმიერ ბანკთან ურთიერთობაში საზოგადოების სახელით აიღონ სესხი, განსაზღვრონ სესხის თანხა, ვადა, პროცენტი და სხვა პირობები, შპს.“ნაქა“ -ის ს/კ 204418745 სახელით ნებისმიერ ბანკში, გახსნან და/ან დახურონ, მართონ და განკარგონ ნებისმიერი (მათ შორის უკვე გახსნილი) საბანკო (მათ შორის შემნახველი, საკრედიტო, დეპოზიტური, ანგარიშსწორების თუ სხვა) ანგარიში, მოახდინოს ინტერნეტ ბანკინგის რეგისტრაცია, მიიღონ ინტერნეტ ბანკინგის კოდი, მიიღონ დიჯიპასი, ისარგებლონ ინტერნეტ ბანკინგის მომსახურეობით. საზოგადოების ანგარიშებზე აწარმოონ ნებისმიერი საბანკო ოპერაცია, მათ შორის, მოხსნან, ჩარიცხონ და გადარიცხონ ანგარიშებიდან თანხები, მოახდინონ ვალუტის კონვერტაცია, მიიღონ ინფორმაცია საზოგადოების ნებისმიერი ტიპის საბანკო დავალიანების შესახებ, მიიღონ ნებისმიერი სახის ამონაწერი, საბანკო ჩეკი, ცნობები, შეუკვეთონ და მიიღონ პლასტიკური ბარათი.

იყვნენ შპს „ შპს.“ნაქა“ -ის ს/კ 204418745 წარმომადგენელი შსს-ს მომსახურების სააგენტოში, საპატრულო პოლიციაში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, გადამზიდ კომპანიებში, შემოსავლების სამსახურში, ნებისმიერი ქვეყნის საბაჟო პუნქტებში, ნებისმიერი ქვეყნის საზღვრებთან , შეიძინონ და დაარეგისტრირონ შპს.“ნაქა“ -ის ს/კ 204418745 სახელზე **ნებისმიერი სახის ავტოსატრანსპორტო საშუალება** . მართონ შპს.“ნაქა“-ის ს/კ 204418745 სახელზე უკვე არსებული ან შემდეგ შეძენილი ნებისმიერი ავტოსატრანსპორტო საშუალება. დააზღვიოს, ჩემს ნაცვლად ხელი მოაწერონ ნასყიდობის ხელშეკრულებას, განსაზღვროს ხელშეკრულების პირობები, გამოიყვანოს საჯარიმოდან, კომპანიის მიმართ შესადგენ საჯარიმო ქვითარზე ჩემს ნაცვლად მოაწეროს ხელი, ჩაიბაროს საჯარიმო ქვითარი და მიიღონ ა/მანქანის საჯარიმო სადგომიდან გაყვანის ნებართვა, მოხსნას აღრიცხვიდან და დააყენოს აღრიცხვაზე, გადაიყვანოს კონტეინერით, აწარმოოს ამასთან დაკავშირებული საქმიანობა, მიიღონ ნებისმიერი სახის ინფორმაცია კომპანიის დავალიანების (ჯარიმების, საურავების, ბაჟი) შესახებ, გადაიხადოს ჯარიმები, მოახდინოს ავტომობილის რექისპორტი, გაიყვანოს/გადაიტანოს საზღვარგარეთ ნებისმიერ ქვეყანაში და შემოვიდეს ნებისმიერი ქვეყნიდან, ჩაუტაროს სარემონტო სამუშაოები, გადაავადოს, განაახლოს ან/და ჩააბაროს სახელმწიფო ნომერი, ჩემს ნაცვლად ხელი მოაწერონ ყველა ნებისმიერ დოკუმენტს და ასევე ჩააბაროს (დეკლარაცია და ქუთაჟის საბუთი. იყვნენ **კომპანიის** წარმომადგენელი საპატრულო პოლიციაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში, საბაჟოზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგარადი განვითარების სამინისტროს სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოში, მიიღონ საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვების ნებართვები, გასცეს თანხმობები, მიიღონ ინფორმაციები/საბუთები, ხელი მოაწერონ საჭირო დოკუმენტებს და შეასრულოს აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედება. მიიღონ ნებისმიერი სახის ინფორმაცია დავალიანების (ჯარიმების, საურავების, ბაჟი) შესახებ, გადაიხადოს ჯარიმები, გასცეს შეასრულოს ყველა ის მოქმედება რაც არ არის მითითებული ამ მინდობილობაში, მაგრამ პირდაპირ ან არაპირდაპირ უკავშირდება აღნიშნულ დავალებას კანონით გათვალისწინებული ყველა უფლებით.

დაიცვას შპს „ნაქა“ -ის ს/კ 204418745 ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესები. ამ მიზნით მინდობილი პირი მიმნდობს წარმოადგენს საქართველოს საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოებში, კერძო არბიტრაჟში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობაში და აწარმოებს შესაბამის სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეს. აღნიშნულის განსახორციელებლად მინდობილი უფლებამოსილია მიმნდობის სახელით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება და პროცედურა, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით მათ შორის: მიმნდობის სახელით შეიტანოს განცხადება და ან სარჩელი სასამართლოში, გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი ან დაიბრუნოს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, გაეცნოს საქმის მასალებს, გააკეთოს ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღოს ასლები, განაცხადოს აცილება, წარადგინონ მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვას მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, აღძრას სასამართლოს წინაშე შუამდგომლობანი, მისცეს სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, წარადგინონ თავისი დასკვნები და გამოთქვას მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყოს მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, ნაწილობრივ ან მთლიანად უარი თქვას სარჩელზე, შეცვალოს სარჩელის საგანი და ან საფუძველი, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის მოცულობა, დაამთავროს საქმე მორიგებით, გაასაჩივროს სასამართლოს ნებისმიერი აქტი, წარადგინონ სააპელაციო და საკასაციო საჩივარი, მიიღონ სააღსრულებო ფურცელი, წარადგინონ სააღსრულებო ფურცელი აღსრულების ეროვნულ ბიუროში და აწარმოოს სააღრსულებო საქმე. მინდობილი პირი უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ მინდობილობაში, მაგრამ აუცილებელია მიმნდობის კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დასაცავად. იყვნენ შპს „ნაქა“- ის ს/კ 204418745 წარმომადგენელი ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებში, თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში, ქალაქის მერიაში, საპროექტო და არქიტექტურის სამსახურში, არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურში, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში, ინფრასტრუქტურის სამსახურში, იუსტიციის სახლში, სოფლის მეურნეობის სამინისტროში, საგზაო დეპარტამენტში, საჯარო რეესტრისეროვნულ სააგენტოში, სანოტარო ბიუროში, ყველა კომუნალური მომსახურების

სააგენტოში, დაიცვას მარწმუნებლის ინტერესები, მიმართოს განცხადებებით, შპს „ნაქა“- ის ს/კ 204418745 სახელით აწარმოოს ნებისმიერი უძრავი ქონების დარეგისტრირება, კორექტირება, ფართების დაზუსტებასთან, დაყოფასთან, გამოყოფასთან, გაერთიანება, გამიჯვნასთან დაკავშირებული საქმიანობა, გააკეთოს აზომვითი ნახაზები და მიიღონ ელექტრონული ვერსიის ჩათვლით, დაარეგისტრიროს საჯარო რეესტრში ჩემს სახელზე, მიიღონ შესაბამისი ამონაწერი, გასცეს განცხადება-თანხმობები ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, ჩააბაროს და მიიღონ ნებისმიერი ტიპის დოკუმენტი ნებისმიერ დაწესებულებიდა, დაადგინოს იურიდიული მნიშვნელობის ფაქტები, გაასწოროს ნებისმიერი სახის ხარვეზი ნებისმიერ საბუთში, საჭიროების შემთხვევაში ცვლილებას შეიტანოს სარეგისტრაციო დოკუმენტებში, გააუქმოს სარეგისტრაციო განაცხადი, განაახლოს შეჩერებული ან/და შეწყვეტილი სარეგისტრაციო განაცხადი, წარადინოს და მიიღონ საჭირო დოკუმენტები, შეათანხმოს/წარადგინონ/დაამტკიცოს პროექტები, მიიღონ მშენებლობის ნებართვა და პროექტები და სხვა საჭირო ნებართვები, შენობა-ნაგებობის აშენების ნებართვის აღებასთან დაკავშირებით, აიღოს შენობა-ნაგებობის აშენების/მიშენების დაშენების/დემონტაჟის ფასადის ცვლილების ნებართვები, შეადგინოს მშენებლობის პროექტები, მოახდინოს პროექტის შეთანხმება, დამტკიცება, შეიტანოს პროექტში ცვლილებები და/ან დამატებები, ატვირთოს, დაარეგსტრიროს და გააგზავნოს დოკუმენტები ელექტრონულად, გადაიხადოს, კანონით დადგენილი გადასახადები, იმოქმედოს უძრავი ქონების ექსპლატაციაში მიღებასთან, კომუნიკაციების შეყვანასთან, მრიცხველების დადგმასთან და მის დაქვემდებარებაში არსებულ სამსახურებში, სსიპ ქ თბილისისი მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში, თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურში, გამგეობაში, ზედამხედველობის სამსახურში, გამწვანების სამსახურში, ფიზიკურ და/ ან იურიდიულ პირებთან, კომუნალური მომსახურების სამსახურში სს თელასში, სს "ენერგო პრო ჯორჯია" -ში, ჯორჯეან უთერ ენდ ფაუერში" (GWP), თბილისი -ენერჯში, დასუფთავების სამსახურში, თბილსერვის ჯგუფში, სილქნეტში, მაგთიკომში, ინტერნეტ პროვაიდერებთან და სხვა კომპეტენტურ ორგანოებში, რა დროსაც ჩემი სახელით ხელი მოაწერონ და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნული დავალების შესასრულებასთან.

მინდობილობა ძალაშია 2025 წლის 27 თებერვლიდან 2027 წლის 27 თებერვლის ჩათვლით . გადანდობის უფლების გადაცემის გარეშე .

მინდობილობა შედგენილია ოთხ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ლანა მაჭავარიანის სანოტარო არქივში (ამონაწერთან ერთად), ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობს.

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური, 18 (თვრამეტი) ლარი, (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება #507-ის 31-ე მუხლისა), აგრეთვე დღგ 3 (სამი) ლარი და 24 (ოცდაოთხი) თეთრი (თანხმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა) და რეგისტრაციის საფასური 5 (ხუთი) ლარი (თანახმად "საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება #507-ის 39-ე მუხლისა): სულ გადახდილია 26 (ოცდაექვსი) ლარი და 24 (ოცდაოთხი) თეთრი.

ნასერ ყაჭრემანი გარგარი

თარჯიმანი

ნოტარიუსი
ლანა მაჭავარიანი

შეკერილია და დანომრილია
7 (შვიდ) ფურცელზე
ნოტარიუსი
ლანა მაჭავარიანი